

ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებები 2018-2024

1. უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება.

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზნებია:

- საუნივერსიტეტო მმართველობითი სისტემის ოპტიმიზაცია და ფორმალიზებულ პოლიტიკებზე დაყრდნობით განვითარება;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური, დამხმარე და მოწვეული პერსონალის ეფექტიანი მართვის სისტემის ოპტიმიზაცია და განვითარება;
- უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოზიდვის სისტემის განვითარება;
- უცხო ქვეყნებიდან აბიტურიენტების მოზიდვის არხების დივერსიფიკაცია და უცხოელთა კონტინენტის გეგმიური ზრდა.

დასახული სტრატეგიული მიმართულების მიზნების განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები:

შედეგი 1.1. ჩატარებულია უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურული ანალიზი, რის საფუძველზეც ოპტიმიზებულია ორგანიზაციული სტრუქტურა.

ამოცანა 1.1.1. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტიანობისა შეფასების მიზნით მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 1.1.2. ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება.

ამოცანა 1.1.3. უნივერსიტეტის განახლებული სტრუქტურის დანერგვა.

ამოცანა 1.1.4. ორგანიზაციული სტრუქტურის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი განვითარება.

შედეგი 1.2. დანერგილია და თანმდევი კვლევების საფუძველზე მუდმივად ვითარდება უნივერსიტეტის მართვის პროცედურული სისტემა.

ამოცანა 1.2.1. უნივერსიტეტის სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, აგრეთვე ხარისხის მართვისა და დამხმარე საქმიანობის პროცედურული ფორმით ჩამოყალიბება და მათი განხორციელების ეფექტიანობის ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 1.2.2. საუნივერსიტეტო მართვის სისტემაში შემავალი პროცედურების ეფექტიანობის ანალიზიდან გამომდინარე არსებული პროცედურების ოპტიმიზაცია და დანერგვა.

ამოცანა 1.2.3. უნივერსიტეტის მართვის პროცედურული სისტემის ეფექტიანობის ყოველწლიური შეფასება და შემდგომი განვითარება.

- შედეგი 1.3. დანერგილია და ფუნქციონირებს ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა.**
- ამოცანა 1.3.1. უნივერსიტეტის ფინანსების პროგრამული ბიუჯეტირებისა და კონტროლის სისტემის დანერგვა და ფინანსების მართვის ეფექტიანობის შეფასებაზე დაფუძნებული განვითარება.
- შედეგი 1.4. შემუშავებულია საუნივერსიტეტო მარკეტინგული პოლიტიკა და ეფექტიანად ხორციელდება სამწლიანი მარკეტინგული გეგმა.**
- ამოცანა 1.4.1. საგანმანათლებლო სისტემის, დასაქმების ბაზრისა და უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ანალიზის განხორციელება.
 - ამოცანა 1.4.2. უნივერსიტეტის სტრატეგიის გათვალისწინებით საუნივერსიტეტო მარკეტინგული პოლიტიკისა და სამწლიანი მარკეტინგული გეგმის შემუშავება.
 - ამოცანა 1.4.3. სამწლიანი მარკეტინგული გეგმის სამოქმედო გეგმის განხორციელება.
 - ამოცანა 1.4.4. საუნივერსიტეტო სამწლიანი მარკეტინგული გეგმის განახლება და უნივერსიტეტის სტრატეგიაზე დაყრდნობით შემდგომი განვითარება.
- შედეგი 1.5. დანერგილია და მუდმივად ვითარდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.**
- ამოცანა 1.5.1. მარკეტინგულ გეგმასა და განახლებულ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე დაყრდნობით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ოპტიმიზაცია და დანერგვა.
 - ამოცანა 1.5.2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზი და შემდგომი განვითარება.
- შედეგი 1.6. შემუშავებულია და ეფექტიანად ხორციელდება სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკა.**
- ამოცანა 1.6.1. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტიანობის ანალიზი.
 - ამოცანა 1.6.2. საუნივერსიტეტო მარკეტინგული გეგმის, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემუშავება.
 - ამოცანა 1.6.3. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკის შეფასება და შემდგომი განვითარება.

- შედეგი 1.7. შემუშავებულია და ეფექტიანად ხორციელდება საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.**
- ამოცანა 1.7.1.** საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ეფექტიანობის ანალიზი
 - ამოცანა 1.7.2.** საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო პოლიტიკის შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.
 - ამოცანა 1.7.3.** საუნივერსიტეტო მარკეტინგის, სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო პოლიტიკების გათვალისწინებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო სამოქმედო გეგმის შემდგომი განვითარება.
- შედეგი 1.8. შემუშავებულია და ეფექტიანად ხორციელდება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ოპტიმალურად გამოყენების საუნივერსიტეტო პოლიტიკა.**
- ამოცანა 1.8.1.** უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენების ეფექტურობისა და საჭიროების ანალიზის განხორციელება
 - ამოცანა 1.8.2.** საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და მოქმედი სტრატეგიების მოთხოვნების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის გამოყენების საუნივერსიტეტო პოლიტიკის შექმნა და დანერგვა
- შედეგი 1.9. საუნივერსიტეტო მარკეტინგულ პოლიტიკაზე დაყრდნობით შემუშავებულია და ხორციელდება უცხო ქვეყნებიდან აბიტურიენტების მოზიდვის სამოქმედო გეგმა.**
- ამოცანა 1.9.1.** უცხო ქვეყნებიდან აბიტურიენტების მოზიდვის საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზის განხორციელება.
 - ამოცანა 1.9.2.** საუნივერსიტეტო მარკეტინგულ პოლიტიკაზე დაყრდნობით უცხო ქვეყნებიდან აბიტურიენტების მოზიდვის სამოქმედო გეგმის შემუშავება.
 - ამოცანა 1.9.3.** უცხო ქვეყნებიდან აბიტურიენტების მოზიდვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება და ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი ანალიზის განხორციელება.

2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება.

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზნებია:

- სტუდენტზე ორიენტირებული და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, განახლებული და ოპტიმიზირებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.
- სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა და განვითარება.
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების განხორციელებისათვის შესაძლებლობების ამაღლება, შემუშავება და განვითარება.
- უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ჯანდაცვის მიმართულების ოპტიმიზირებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად პროგრამების შემუშავება და შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარება.

დასახული სტრატეგიული მიმართულების მიზნების განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები:

შედეგი 2.1. განახლებულია და ოპტიმიზირებულია არსებული, შემუშავებულია ახალი და ეფექტურად ხორციელდება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები.

- ამოცანა 2.1.1.** საუნივერსიტეტო მარკეტინგული გეგმის, სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია.
- ამოცანა 2.1.2.** საუნივერსიტეტო მარკეტინგული გეგმისა და სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკის შესაბამისად, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა.
- ამოცანა 2.1.3.** საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების ოპტიმიზაცია.
- ამოცანა 2.1.4.** საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკის შეფასება და შემდგომი განვითარება.

შედეგი 2.2. დანერგილია სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდები და ეფექტიანად ხორციელდება დისტანციური საგანმანათლებლო კურსები.

- ამოცანა 2.2.1.** დისტანციური საგანმანათლებლო კურსებისა და ინოვაციური სწავლების მეთოდების საჭიროების ანალიზის განხორციელება.
- ამოცანა 2.2.2.** სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად დისტანციური საგანმანათლებლო კურსების შემუშავება და დანერგვა.
- ამოცანა 2.2.3.** სწავლა/სწავლებაში კარგი პრაქტიკისა და დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით აკადემიური პერსონალისათვის ინოვაციური სწავლების მეთოდების შემუშავება და დანერგვა.
- ამოცანა 2.2.4.** ინოვაციური სწავლების და დისტანციური საგანმანათლებლო კურსების განხორციელების ეფექტიანობის ყოველწლიური შეფასება და შემდგომი განვითარება.

- შედეგი 2.3. პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად შემუშავებულია და ხორციელდება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები.**
- ამოცანა 2.3.1.** საუნივერსიტეტო მარკეტინგული პოლიტიკიდან გამომდინარე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებისა და რესურსების მზაობის ანალიზის განხორციელება.
 - ამოცანა 2.3.2.** ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, ფინანსური და ინფრასტრუქტურული რესურსების კონსოლიდაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება.
 - ამოცანა 2.3.3.** სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკის და დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებითა პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა.
 - ამოცანა 2.3.4.** ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტიანობის ყოველწლიური შეფასება და შემდგომი განვითარება.
- შედეგი 2.4. ჯანდაცვის მიმართულების უნივერსიტეტის არსებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები განახლებულია, შემუშავებულია ახალი პროგრამები, ინგლისურენოვანი პროგრამები შეესაბამება უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებისა და ეფექტიანად ხორციელდება.**
- ამოცანა 2.4.1.** სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით ჯანდაცვის მიმართულების უნივერსიტეტის არსებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის ანალიზი.
 - ამოცანა 2.4.2.** საუნივერსიტეტო მარკეტინგული პოლიტიკისა და დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად ჯანდაცვის მიმართულების ახალი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების ანალიზის განხორციელება.
 - ამოცანა 2.4.3.** სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით ჯანდაცვის მიმართულების არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმიზაცია.
 - ამოცანა 2.4.4.** სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით ჯანდაცვის მიმართულების ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დანერგვა.
 - ამოცანა 2.4.5.** საუნივერსიტეტო მარკეტინგული და სწავლა/სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკების გათვალისწინებით ჯანდაცვის მიმართულების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტიანობის ყოველწლიური შეფასება და შემდგომი განვითარება.
- შედეგი 2.5. შემუშავებულია და ეფექტიანად ხორციელდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები.**

- ამოცანა 2.5.1.** არსებული საუნივერსიტეტო პოლიტიკების გათვალისწინებით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების და უნივერსიტეტის მზაობის ანალიზის განხორციელება.
- ამოცანა 2.5.2.** გამოვლენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, ფინანსური და ინფრასტრუქტურული რესურსების კონსოლიდაციისა და განახლება სამოქმედო გეგმის შემუშავება.
- ამოცანა 2.5.3.** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და აკრედიტაციის პროცესის განხორციელება.
- ამოცანა 2.5.4.** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გარე რეფერირების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

3. კვლევების/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება.

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზნებია:

- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მდგრადი განვითარება.
- აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობაში სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წახალისება.
- სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევართა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვა.

დასახული სტრატეგიული მიმართულების მიზნების განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები:

შედეგი 3.1. უნივერსიტეტის ფარგლებში ხორციელდება და წახალისებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართა ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობა.

ამოცანა 3.1.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო პოლიტიკის გათვალისწინებით უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართა ერთობლივი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის წახალისების საუნივერსიტეტო პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

ამოცანა 3.1.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში გარე რეფერირების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ამოცანა 3.1.3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების ოპტიმიზაცია.

შედეგი 3.2. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიური ჩართვით უზრუნველყოფილია მათი სამეცნიერო-კვლევით უნარ-ჩვევების განვითარებას.

ამოცანა 3.2.1. სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო პოლიტიკების გათვალისწინებით სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის წახალისების საუნივერსიტეტო პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

შედეგი 3.3. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები ეფექტიანად განვითარებულია და გაზრდილია მათი ცნობადობა.

ამოცანა 3.3.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო პოლიტიკის გათვალისწინებით უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ცენტრების მიერ განხორციელებული სამუშაოთა ეფექტურობისა და საჭიროების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 3.3.2. მარკეტინგული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო პოლიტიკების გათვალისწინებით უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობისა საუნივერსიტეტო პროგრამის შექმნა და განვითარება.

ამოცანა 3.3.3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ცენტრების, მართვის, აგრეთვე სამუშაოთა ადმინისტრირების პროცედურების ოპტიმიზაცია და მატერიალურ-ტექნიკური განვითარება.

ამოცანა 3.3.4. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ცენტრების მიერ ინოვაციური კვლევითი ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვის წახალისებისა, აგრეთვე ახალი ცოდნის გავრცელებისა და გაზიარების საუნივერსიტეტო პროგრამის შექმნა და განვითარება.

შედეგი 3.4. პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზების წარმომადგენლებთან ერთად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წახალისებულია და ჩართულია ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობებში.

ამოცანა 3.4.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო პოლიტიკის გათვალისწინებით უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის არსებული სიტუაციური და საჭიროების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 3.4.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო სტრატეგიის გათვალისწინებით უნივერსიტეტის და პარტნიორ ორგანიზებებთან ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის ჩართვის წახალისების საუნივერსიტეტო პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

4. ხარისხის შიდა სისტემის განვითარება და გაძლიერება.

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზნებია:

- უნივერსიტეტის სწავლა-სწავლების, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისა და მართვას სისტემის შიდა კვლევებზე და ეფექტიანი ანგარიშგების სისტემაზე დაყრდნობით უნივერსიტეტის შიდა ხარისხის სისტემის განვითარება;
- უნივერსიტეტის ხარისხის სისტემის გაუმჯობესების მიზნით ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სტუდენტური და აკადემიური კონტინგენტის, ასევე შიდა რესურსების დაგეგმარების პროცედურების დანერგვა და შემდგომი განვითარება;

დასახული სტრატეგიული მიმართულების მიზნების განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები:

შედეგი 4.1. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემა.

ამოცანა 4.1.1. საუნივერსიტეტო პოლიტიკების გათვალისწინებით უნივერსიტეტის შიდა ხარისხის არსებული სისტემის ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 4.1.2. შიდა ხარისხის სისტემის ანალიზის საფუძველზე და საუნივერსიტეტო პოლიტიკების დაყრდნობით უნივერსიტეტის შიდა ხარისხის სისტემის პროცედურული და ორგანიზაციული ოპტიმიზაცია;

ამოცანა 4.1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობის ყოველწლიური შეფასება და შემდგომი განვითარება.

შედეგი 4.2. დანერგილია და მუდმივად ვითარდება კონტინგენტის განსაზღვრის ეფექტიანი მეთოდოლოგია.

ამოცანა 4.2.1. უნივერსიტეტის არსებული კონტინგენტის ფარგლებში სასწავლო პროცესის შეფასებისა და ეფექტიანობის ანგარიშის საფუძველზე კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ეფექტიანობის ანალიზის განხორციელება

ამოცანა 4.2.2. მარკეტინგის საუნივერსიტეტო პოლიტიკის საფუძველზე კონტინგენტის ოდენობის შეფასების და განსაზღვრის მეთოდოლოგიის ოპტიმიზაცია და დანერგვა.

შედეგი 4.3. უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის საქმიანობაში, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართვა.

ამოცანა 4.3.1. უნივერსიტეტის საქმიანობაში, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის პროცედურების შემუშავება და დანერგვა

5. სწავლა/სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზნებია:

- უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის მიზნით უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა;
- უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გაზრდა;
- ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კომპონენტის ზრდის ხელშეწყობა.

დასახული სტრატეგიული მიმართულების მიზნების განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები:

შედეგი 5.1. უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი ჩართული არიან საერთაშორისო გაცვლით და ერთობლივ პროგრამებში.

ამოცანა 5.1.1. გაცვლით და ერთობლივ პროგრამებში უნივერსიტეტის საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად უცხოურ ორგანიზაციებთან, აგრეთვე საერთაშორისო სამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ამოცანა 5.1.2. უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის საერთაშორისო გაცვლით და ერთობლივ პროგრამებში მონაწილეობის წახალისების მიზნით განაცხადის შედგენის კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.

შედეგი 5.2. უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ჩართულია უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში.

ამოცანა 5.2.1. უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში გაცვლითი და ერთობლივ პროგრამების ფარგლებში უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი მოწვევის უზრუნველსაყოფად უცხოურ ორგანიზაციებთან, აგრეთვე საერთაშორისო სამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

შედეგი 5.3. ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის მიზნით შემუშავებულია და ეფექტიანად ხორციელდება ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კომპონენტები.

ამოცანა 5.3.1. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კომპონენტების არსებული სიტუაციური და საჭიროების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 5.3.2. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კომპონენტების განახლება/შემუშავება და დანერგვა.

6. სტუდენტური სერვისების დანერგვა-განვითარება.

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზნებია:

- სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისების შემუშავება, განახლება და ეფექტიანად დანერგვა;
- საუნივერსიტეტო საზოგადოების სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სპორტულ ღონისძიებებში მათი შესაძლებლობებისა და ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ფარგლებში სტუდენტებისთვის, საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მრავალფეროვანი სასწავლო კურსების შეთავაზება

დასახული სტრატეგიული მიმართულების მიზნების განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები:

შედეგი 6.1. შემუშავებულია და ეფექტიანად მიეწოდება სტუდენტური სერვისები.

ამოცანა 6.1.1. უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური სერვისების ეფექტიანობისა და საჭიროების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 6.1.2. სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული და მარკეტინგის საუნივერსიტეტო გეგმის გათვალისწინებით უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური სერვისების ოპტიმიზაცია, ახალი სერვისების შემუშავება და დანერგვა

შედეგი 6.2. უნივერსიტეტი ხელს უწყობს საუნივერსიტეტო საზოგადოების სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებებს.

ამოცანა 6.2.1. უნივერსიტეტში არსებული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სპორტული ღონისძიებების ეფექტიანობისა და საჭიროების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 6.2.2. სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული უნივერსიტეტში არსებული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სპორტული ღონისძიებების განხორციელების პროცესში სტუდენტური თვითმართველობის ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერის გეგმის შემუშავება და დანერგვა

ამოცანა 6.2.3. კურიკულუმგარე შემოქმედებითი, კულტურული და სპორტის სფეროში სტუდენტების შესაძლებლობებისა და ჩართულობის ხელშეწყობა.

შედეგი 6.3. შემუშავებულია და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ფარგლებში მრავალფეროვანი სასწავლო კურსები.

ამოცანა 6.3.1. დაინტერესებულ პირთა მოთხოვნებზე მორგებული სასწავლო კურსების შემუშავება და შეთავაზება

ამოცანა 6.3.2. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ფარგლებში შემუშავებული სასწავლო კურსების ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი განვითარება.

7. მატერიალური და ინფრასტრუქტურული განვითარება .

სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზნებია:

- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გეგმიური განვითარება;
- უნივერსიტეტის როგორც არსებულის, აგრეთვე ახალი ინფრასტრუქტურის საუნივერსიტეტო საზოგადოების მოთხოვნებზე მორგება და ოპტიმალური გამოყენება;
- სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული უნივერსიტეტის მართვის სისტემის დანერგვა და შემდგომი განვითარება.

დასახული სტრატეგიული მიმართულების მიზნების განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები:

შედეგი 7.1. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ოპტიმალურად გამოიყენება და მისი განვითარება ემყარება საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და მოქმედი სტრატეგიების მოთხოვნებს.

ამოცანა 7.1.1. უნივერსიტეტის სტრატეგიული და მარკეტინგული გეგმებიდან გამომდინარე ახალი შენობა-ნაგებობების შექმნა და აღჭურვა

ამოცანა 7.1.2. ინფრასტრუქტურის გამოყენების საუნივერსიტეტო პოლიტიკის გათვალისწინებით არსებული ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია და შემდგომი განვითარება

შედეგი 7.2. შემუშავებულია და ეფექტიანად გამოიყენება უნივერსიტეტის მართვის საინფორმაციო სისტემა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

ამოცანა 7.2.1. უნივერსიტეტში არსებული მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენების ეფექტურობისა და საჭიროების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 7.2.2. საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და მოქმედი სტრატეგიების მოთხოვნების გათვალისწინებით მართვის საინფორმაციო სისტემის ოპტიმიზაცია და დანერგვა.

შედეგი 7.3. უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების განვითარებულია და შეესაბამება სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობასთან დაკავშირებულ თანამედროვე მოთხოვნებს .

ამოცანა 7.3.1. უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გამოყენების ეფექტურობისა და საჭიროების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 7.3.2. უნივერსიტეტის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია და განახლება.

შედეგი 7.4. საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკიდან გამომდინარე განახლებულია და სათანადოდ აღჭურვილია და სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა.

ამოცანა 7.4.1. უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკიდან გამომდინარე სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურისა აღჭურვილობისა და საჭიროებების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 7.4.2. ინფრასტრუქტურის გამოყენების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო პოლიტიკის გათვალისწინებით არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის ოპტიმიზაცია და შემდგომი განვითარება

შედეგი 7.5. განახლებულია და სათანადოდ აღჭურვილია სასწავლო ინფრასტრუქტურა.

ამოცანა 7.5.1. ინფრასტრუქტურის გამოყენების პოლიტიკისა და მარკეტინგული გეგმის გათვალისწინებით სასწავლო ინფრასტრუქტურის საჭიროებების ანალიზის განხორციელება.

ამოცანა 7.5.2. სასწავლო ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის ოპტიმიზაცია და შემდგომი განვითარება.